

## ჭაბუკი და მეკობრენი

ერთი კაცი, კარგი ჭაბუკი, მოვიდოდა და ხმალიც კარგი ერტყა. ყოველი საჭურველი კარგი ჰქონდა. ცოლი თან მოჰყვანდა. დია, ლამაზი და კარგი ქალი. გაიარა გზა და მიჰხვდა ადგილსა სამეკობროსა. ხუთნი ამხანაგნი იდგნენ და ბევრს კაცს აზიანებდენ. იგი კაი ჭაბუკი უცნაური იყო და უფიქროდ მივიდოდა. ვიდრემდის ხელი არა სტაცეს, ვერა შეიტყო რა.

გამარცვეს, ხელი შეუკრეს და წაიყვანეს.

ერთს მათგანს ამხანაგს მისი ხრმალი თურე მოეწონა, მალვით უღხრა: ამ შენს საჭურველსა და სხვას ქონებას შენ გაგაყოფინებ. შენი ხრმალი წილად მე მომახვედრე და შენს ცოლს მოგცემ და გაგიშვებო.

მან კაცმან ფიცი მისცა: თუ მე გამაყოფინებ, ჩემს ხრმალს შენ მოგახვედრებო.

წაიყვანეს. ერთს სამზირალს ალავს ციხე იდგა, მუნ დაესადგურათ. ათი კაცი სხვა მხარშეკრული იდვა და ნამარცვი აუარებელი.

მან განდობილმან ამხანაგმან თქვა: ეს დღევანდელი კაცი სულის კაცსა ჰგავს და მოდი ამას გავაყოფინოთო!

ნება დართეს სხვათაც და ხელი გაუხსნეს.

დაუწყო ყოფა მან კაცმან: ერთ წილად თავისი ცოლი დასვა და

ერთ წილად ერთი ფარი და ზედ შიშველი თავისი ხრმალი.

ანაზღად დაავლო ხელი, უწინ, რომელსაც ხრმალი უქადა, სცა მას

და მოკლა. ერთი სხვა მოკლა. სამნი გაექცნენ. მუნ ხელდაკრულნი კაცნი დახსნა, ხრმლები მისცა, გამოუდგნენ და ყველა დახოცეს. მან კაცმან თავისი ცოლი წაიყვანა და თავისი საჭურველი სხვ მათ კაცთ მისცა: მე ეს მეყოფაო.

- რადგან მან ერთმან ამხანაგმან ამდენი სიკეთე უყო, რო ენდო, ხელი გაუხსნა, გააყოფინა, ცოლი მისცა, ეს მის სიკვდილ რასლა ემართლებოდა— კარგისათვის კარგი არაოდეს ქმნილა, რასაც საშენ არა სტყუი და ახლა არ იგონებო!

ლეონ უთხრა:

- კარგი ჰქმენი, მას კაცსა მათზე ავის ქმნა დაუწუნე. ცოლი წაართვეს, გამარცვეს, თავი დაიხელთა და ის მოკლა, ავად უქმნიაო. მე მასცა ვუძრახავ, უწინვე რასათვის ასრე დაფლად დარჩა— თუცა უკანის არა ექმნა რა, შენებრი კაცი იქმნებოდა

თქვა ლეონ არაკი: